



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
ქართული ფილოლოგია
სამაგისტრო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
15. 07. 19

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
201-

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ფილოლოგია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	ქართული ფილოლოგიის მაგისტრი, 100501
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული, 31/08/2017, #62 გადაწყვეტილება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პოპიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ხვთისო მამისიმედიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია ქართულ ენასა და ლიტერატურაში მაღალკვალიფიციური მაგისტრის მომზადება. პროგრამა შედგება ქართული ენისა და ლიტერატურის მნიშვნელოვანი საკითხებისაგან, მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის საჭირო საგნებისა და საკითხებისაგან.

პროგრამის მიზნები შეესაბამება შპს საქართველოს უნივერსიტეტის მისიას, ითვალისწინებს ბაზრის მოთხოვნებს.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის #483 (13. 06. 2019) ბრძანების საფუძველზე, შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობას შეფასების მიზნით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომლის მოვალეობაა ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგი. პროგრამის მონიტორინგით შემოწმების საფუძველი იყო აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობა პროგრამის მონიტორინგით შემოწმების თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის 2017 წლის დასკვნა ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე, ასევე, შეისწავლა დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტაცია - შპს საქართველოს უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა. ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული I, II და IV (მხოლოდ 4.1 კომპონენტი) სტანდარტი.

სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის #01900927120 (09. 07. 2019) წერილის შესაბამისად გავეცანით შპს საქართველოს უნივერსიტეტის პოზიციას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას, სადაც ექსპერტთა რეკომენდაციების ერთი ნაწილი გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ, ხოლო ნაწილთან დაკავშირებით აქვთ განსხვავებული პოზიცია.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან 2017 წლის აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციები არ იყო გათვალისწინებული სრულად და 2019 წლის აკრედიტაციის მონიტორინგის ექსპერტთა აზრით, რეკომენდაციების ნაწილის გათვალისწინება მნიშვნელოვანია პროგრამის გაუმჯობესებისათვის. მესამე სტანდარტი არ შეფასდა, მეოთხე სტანდარტი ძირითადად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მეხუთე სტანდარტი არ შეფასდა.

▪ რეკომენდაციები

- თუ დაწესებულებას აქვს რაიმე სახის რეგულაცია, სადაც განსაზღვრულია საგნების სილაბუსების ავტორებისა და კურატორების უფლება-მოვალეობები, უნდა იყოს წარმოდგენილი დებულების ან შიდა რეგულაციის სახით პროგრამის აკრედიტაციისათვის საჭირო სხვა დოკუმენტებთან ერთად, ხოლო სილაბუსებში სავალდებულოდ უნდა იყოს მითითებული საგნის ავტორი. თუ დაწესებულებისათვის კურატორის მითითება სილაბუსში სავალდებულო რუგალია, შესაძლებელია, მითითებული იყოს კურატორიც, ავტორის შემდეგ. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტებისთვის წარმოდგენილ ყველა სილაბუსში მითითებული არის მხოლოდ საგნის კურატორის სახელი და გვარი და არა სილაბუსის ავტორის ვინაობა. მიგვაჩნია, რომ სილაბუსის თავფურცელზე აუცილებლად უნდა იყოს მითითებული იმ პროფესორის სახელი, გვარი და აკადემიური ხარისხი, ვინც შეადგინა სილაბუსი და ვინც კითხულობს ლექციების კურსს კონკრეტულ საგანში.
- საგნის: „ქართული მითოლოგია და საისტორიო ზეპირსიტყვიერება“. ძირითად ლიტერატურაში არ გვხვდება ამ საგნისთვის ისეთი უაღრესად მნიშვნელოვანი გამოცემა, როგორიც არის „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება“, ტ. I, ტ. II, ტ. III (ტექსტების მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქსენია სიხარულიძის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1961; 1964; 1967). მიზანშეწონილია აღნიშნული გამოცემის შეტანა საგნის სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაითვალისწინა ჩვენი რეკომენდაცია და ეროვნულ ბიბლიოთეკასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ის ამზადებს ქსენია სიხარულიძის წიგნის „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების“ სამტომეულის ქსეროასლს, რომელიც განთავსდება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. რაც შეეხება მირჩა ელიადეს წიგნს „მარადიული დაბრუნების მითი“ (არქეტიპები და განმეორებადობა, გამომცემლობა „ალეფი“, თბილისი, 2017) რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად გაშუქებულია მითისა და ისტორიის ურთიერთმიმართების საკითხი, გათვალისწინებულია შენიშვნა და უკვე შეტანილია სილაბუსში.
- მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტებს მიგვაჩნდა, რომ აუცილებელი იყო საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსის „ქართული მითოლოგია და ფოლკლორისა“ და სამაგისტრო პროგრამაში შეტანილი კურსის „ქართული მითოლოგია და საისტორიო ზეპირსიტყვიერების“ სახელწოდებების დიფერენცირება, რათა არ მომხდარიყო საგნის მიზნების, ამოცანებისა და სასწავლო საკითხების გადაფარვა და დუბლირება. აქედან გამომდინარე, მონიტორინგის ჯგუფი ურჩევდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომ საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტებს შეესწავლათ „ქართული ფოლკლორი“, ხოლო მაგისტრატურის საფეხურზე „ქართული მითოლოგია და საისტორიო ზეპირსიტყვიერება“. თუმცა იგი ამ ცვლილების წინააღმდეგია. შეიძლება ნაწილობრივ გავიზიაროთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პოზიცია და ამ ორი სილაბუსის სახელწოდება დავტოვოთ უცვლელი, რადგან, როგორც შეგვატყობინეს, ეს ორი სილაბუსი ეკუთვნის სხვადასხვა ავტორს და, შესაბამისად, არ მოხდება საგნის მიზნების, ამოცანებისა და სასწავლო საკითხების გადაფარვა და დუბლირება.

- 2017 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაცია: საგნების (XX-XXI საუკუნეების მიჯნის ლიტერატურა; რომელიმე სალიტერატურო კურსი კლასიკური - ბერძნულ-ბიზანტიური მიმართულებიდან) სამაგისტრო პროგრამაში შეტანასთან დაკავშირებით დაწესებულებას აქვს საკუთარი არგუმენტები. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული. ჩვენი საექსპერტო ჯგუფის აზრით, აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება მიზანშეწონილი იქნებოდა ფილოლოგიის დარგის კომპეტენციების შესაძენად.
- მიზანშეწონილია, საგანში „აკადემიური წერა და კვლევა“ ასახული იყოს პლაგიატისა და სამეცნიერო ეთიკის საკითხები, ასევე, ციტირების სტილები და ლიტერატურის დამოწმების წესები. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ჩვენი რეკომენდაცია.
- სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ნაწილი სავარაუდოდ წარმოადგენს სილაბუსის ავტორის/კურატორის მიერ შედგენილ სხვადასხვა ავტორის წიგნებიდან ამოკრებილი მასალების: სტატიების, მონოგრაფიების თავების, შრომათა ნაწილების, ერთობლიობას. აღნიშნული მასალა კი სილაბუსებში და საუნივერსიტეტო ქსელში შესულია სილაბუსის ავტორის/კურატორის სახელით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სტუდენტები იღებენ მცდარ ინფორმაციას საგნის სავალდებულო ლიტერატურის ავტორის/ავტორების შესახებ. ჩვენი აზრით, უთუოდ დასაფასებელია სილაბუსის ავტორის და/ან კურატორის შრომა, თავი მოუყაროს ამა თუ იმ კონკრეტულ საგანში/საკითხზე არსებულ ძირითად სამეცნიერო და სასწავლო მასალას, შექმნას ბეჭდური და ელექტრონული რიდერი, თუმცა მიზანშეწონილია, შეკრებილი სასწავლო მასალა სილაბუსში მითითებული იყოს ორიგინალური ფორმით, იმ ავტორთა მიხედვით, ვისი ნაშრომებიც წარმოადგენს სასწავლო სავალდებულო მასალას. დამატებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტებს მიგვაჩნია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არგუმენტები არ არის საკმარისი და სილაბუსში მითითებული იმ ძირითადი ლიტერატურის ნაწილი, რომელიც წარმოადგენს სილაბუსის ავტორის/კურატორის მიერ შედგენილ სხვადასხვა ავტორის წიგნებიდან ამოკრებილი მასალების: სტატიების, მონოგრაფიების თავების, შრომათა ნაწილების, ერთობლიობას, არ უნდა შევიდეს სილაბუსებში და საუნივერსიტეტო ქსელში სილაბუსის ავტორის/კურატორის სახელით. მას აუცილებლად უნდა მიეთითოს, რომ იგი წარმოადგენს კონკრეტული სასწავლო კურსისთვის განკუთვნილ სამეცნიერო სტატიების ან შრომების კრებულს და არა სილაბუსის კურატორის საავტორო ნაშრომს.
- ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის წინაპირობაა გამოცდა ინგლისურ ენაში (წერითი). სავალდებულო საგანში: „ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ტენდენციები (მე-20 საუკუნე)“ სავალდებულო ლიტერატურაში შეტანილია რუსულენოვანი მასალა: Билалова. Д. Заимствованные словообразовательные элементы в Башкирском и Английском языках. ვფიქრობთ, აქ საქმე გვაქვს ტექნიკურ შეცდომასთან. შესაბამისად, მიზანშეწონილია გასწორდეს სილაბუსი ტექნიკური შეცდომების თვალსაზრისითაც. აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.
- მიზანშეწონილია, ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე არსებობდეს პრაქტიკა, როგორც ენათმეცნიერების, ისე ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით. პრაქტიკა ხელს შეუწყობს მაგისტრანთა პრაქტიკული, სამეცნიერო და კვლევითი უნარების უკეთესად განვითარებას. აღნიშნულ რეკომენდაციას არ იზიარებს საქართველოს უნივერსიტეტი. დამატებით გვსურს აღვნიშნოთ, რომ

აკრედიტაციის ჯგუფის ექსპერტები მიზანშეწონილად ვთვლით, რომ ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე არსებობდეს პრაქტიკა, როგორც ენათმეცნიერების, ისე ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით, რადგან პრაქტიკა ხელს შეუწყობს მაგისტრანტთა პრაქტიკული, სამეცნიერო და კვლევითი უნარების უკეთესად განვითარებას. ჩვენ, რასაკვირველია, არ ვგულისხმობთ მხოლოდ საველე პრაქტიკას კონკრეტულად ფოლკლორისტის ან კავკასიოლოგის მოსამზადებლად. იგი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფილოლოგიური პრაქტიკა (ხელნაწერთა ინსტიტუტში, მუზეუმში, სასწავლო ლინგვისტურ-დიალექტოლოგიური და ა. შ.).

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- რუსულენოვანი ლიტერატურა (10 დასახელების სასწავლო მასალა) გვხვდება საგნის „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (კომპარატივისტიკა)“ დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალშიც. სასურველია, რუსულენოვანი ლიტერატურა ამოღებული იყოს ლიტერატურის ჩამონათვალიდან, ან სტუდენტებისათვის დამზადდეს აღნიშნული სასწავლო მასალების ქართულენოვანი თარგმანები.
- საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი არ არის ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისათვის შიდა ქსელის გარეშე. სასურველია, დაინტერესებულ პირებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ღია წვდომით დაათვალიერონ საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი.
- სასურველია, წინასწარ განისაზღვროს, რომელი დარგის სპეციალისტს შეეძლება ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

▪ **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2017 წელს. აკრედიტაციის ექსპერტებს ჰქონდათ რეკომენდაციები, რის შედეგადაც აკრედიტაციის საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა აღნიშნული პროგრამისათვის მონიტორინგის დაწესება (31. 08. 2017, ოქმი #14). ჩვენი საექსპერტო ჯგუფი გაეცნო ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამას, რომელიც შპს საქართველოს უნივერსიტეტმა წარმოადგინა ცენტრში.ასევე, 2017 წლის აკრედიტაციის

ექსპერტთა დასკვნასა და საბჭოს ოქმს. ჩვენი საექსპერტო ჯგუფისათვის ხელმიუწვდომელი იყო წინა პროგრამა, ასევე, შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზის დოკუმენტი, პროგრამაში შესული ცვლილებების აღწერა.

- საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაციების ნაწილი:
 - 2017 წლის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, მათ შინაარსს, ასევე, სტრუქტურის ნაწილს: სავალდებულო და არჩევით დისციპლინებს. საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაციების მხოლოდ ნაწილი. კერძოდ:
 - რეკომენდაციებში აღნიშნული იყო: „საგნების ნუსხაში ენისა და ლიტერატურის პროფილის მიხედვით განისაზღვრა შემდეგი ცვლილებები“. აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განახორციელა შემდეგი ცვლილებები:
 - ძირითადი საგნების ნუსხაში შეტანილი სასწავლო კურსი „ქართული ზმნა“ ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე გადამუშავდა და ეწოდა „ქართული წინადადების მორფო-სინტაქსური სტრუქტურა“. იგი წარმოადგენს სამაგისტრო დონისთვის რელევანტურ საგანს და მასში ზმნის გარდა ასახულია ქართული ენის გრამატიკის სხვა ნაწილებიც.
 - მეორე რეკომენდაცია ეხებოდა რამდენიმე საგნის: „ლინგვისტიკის თანამედროვე თეორიები და ძირითადი ტენდენციები“, „კულტუროლოგიური ლინგვისტიკა“, „ენობრივი პოლიტიკის საკითხები“ არჩევით საგნებში გადატანას, ხოლო არჩევითიდან სავალდებულო საგნების ნუსხაში საგნის: „ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ძირითადი პრობლემები“, გადატანას.

- აღნიშნული რეკომენდაციები არ იქნა გათვალისწინებული. აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე (31. 08. 2017, ოქმი #14) ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ „დაწესებულება ვერ გაიზიარებდა ექსპერტის რეკომენდაციას, რომ „ქართული ენისა და ლიტერატურის კუთხით შესაბამისი კვალიფიკაციის მიღებისათვის“ პროგრამის უმნიშვნელოვანესი საგნები: „ლინგვისტიკის თანამედროვე თეორიები და ძირითადი ტენდენციები“, „კულტუროლოგიური ლინგვისტიკა“ და „ენობრივი პოლიტიკის საკითხები“ უნდა გადატანილიყო არჩევით საგნებად... პროგრამაში სწორედ ზემოხსენებული საგნების არსებობა უზრუნველყოფს იმ კომპეტენციათა გამომუშავებას, რომლებიც ფილოლოგს უსათუოდ უნდა გააჩნდეს კულტურათა დიალოგის თვალსაზრისით“.
- უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ნაწილობრივ გაითვალისწინა მე-3 პუნქტის რეკომენდაცია, რომ ქართული ლიტერატურის კორპუსის სწავლების სრულყოფის თვალსაზრისით დამატებოდა ა) უახლესი (XX-XXI საუკუნეების მიჯნის) ლიტერატურა; ბ) ფოლკლორი; გ) რომელიმე სალიტერატურო კურსი კლასიკური (ბერძნულ-ბიზანტიური) მიმართულებიდან. ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში შეიტანა სასწავლო კურსი „ქართული მითოლოგია და საისტორიო ზეპირსიტყვიერება“. წარმოდგენილი სილაბუსის ძირითად ლიტერატურაში არ გვხვდება ამ საგნისთვის ისეთი უაღრესად მნიშვნელოვანი გამოცემა, როგორიც არის „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება“, ტ. I, ტ. II, ტ. III (ტექსტების მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქსენია სიხარულიძის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1961; 1964; 1967). ასევე, ექსპერტებს მიგვაჩნია, რომ ამ სასწავლო კურსისთვის მეთოდოლოგიურ და სასწავლო საშუალებად გამოყენებული უნდა იყოს თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მითის საყოველთაოდ აღიარებული მკვლევრის მირჩა ელიადეს წიგნი „მარადიული დაბრუნების მითი“ (არქექტიპები და განმეორებადობა, გამომცემლობა „ალეფი“, თბილისი, 2017), რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად გაშუქებულია მითისა და ისტორიის ურთიერთმიმართების საკითხი (იხ. გვ. 58-75). უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაითვალისწინა ჩვენი რეკომენდაცია და ეროვნულ ბიბლიოთეკასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ის ამზადებს ქსენია სიხარულიძის წიგნის „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების“ სამტომეულის ქსეროასლს, რომელიც განთავსდება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. რაც შეეხება მირჩა ელიადეს წიგნს „მარადიული დაბრუნების მითი“ (არქექტიპები და განმეორებადობა, გამომცემლობა „ალეფი“, თბილისი, 2017) რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად გაშუქებულია მითისა და ისტორიის ურთიერთმიმართების საკითხი, გათვალისწინებულია შენიშვნა და უკვე შეტანილია სილაბუსში.

- მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტებს მიგვაჩნდა, რომ აუცილებელი იყო საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსის „ქართული მითოლოგია და ფოლკლორისა“ და სამაგისტრო პროგრამაში შეტანილი კურსის „ქართული მითოლოგია და საისტორიო ზეპირსიტყვიერების“ სახელწოდებების დიფერენცირება, რათა არ მომხდარიყო საგნის მიზნების, ამოცანებისა და სასწავლო საკითხების გადაფარვა და დუბლირება. აქედან გამომდინარე, მონიტორინგის ჯგუფი ურჩევდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომ საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტებს შეესწავლათ „ქართული ფოლკლორი“, ხოლო მაგისტრატურის საფეხურზე „ქართული მითოლოგია და საისტორიო ზეპირსიტყვიერება“. თუმცა იგი ამ ცვლილების წინააღმდეგია. შეიძლება ნაწილობრივ გავიზიაროთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პოზიცია და ამ ორი სილაბუსის სახელწოდება დავტოვოთ უცვლელი, რადგან, როგორც შეგვატყობინეს, ეს ორი სილაბუსი ეკუთვნის სხვადასხვა ავტორს და, შესაბამისად, არ მოხდება საგნის მიზნების, ამოცანებისა და სასწავლო საკითხების გადაფარვა და დუბლირება.
- საგნების (XX-XXI საუკუნეების მიჯნის ლიტერატურა; რომელიმე სალიტერატურო კურსი კლასიკური - ბერძნულ-ბიზანტიური - მიმართულებიდან) სამაგისტრო პროგრამაში შეტანასთან დაკავშირებით დაწესებულებას აქვს საკუთარი არგუმენტები. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული. ჩვენი საექსპერტო ჯგუფის აზრით, აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება მიზანშეწონილი იქნებოდა ფილოლოგიის დარგის კომპეტენციების შესაძენად.
- უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ არ გაიზიარა ექსპერტთა რეკომენდაცია და არ ამოიღო არჩევითი საგნებიდან და, საერთოდ, პროგრამიდან „მეგრულ-ლაზური გრამატიკის საფუძვლები“.
- სასწავლო კურსების დაგეგმვასთან, მათ შინაარსსა და სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით გათვალისწინებულია ექსპერტთა შემდეგი რეკომენდაციები:
დაზუსტდა სასწავლო კურსის სახელწოდება „დიალექტოლოგია“ და მას, საგნის შინაარსიდან გამომდინარე, ეწოდა „ქართული დიალექტოლოგია“. ასევე კურსის ძირითადი ლიტერატურიდან ამოღებულია ისეთი გამოცემა, როგორიც არის „სვანური ტექსტები და ლექსიკა, ბალსზემოური კილო“ (შემდგ. ჩართოლანი ნ. 2003 წ.), რომელიც, ექსპერტთა აზრით, არ შეესაბამებოდა ამ საგნის შინაარსს.

○ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, როგორც ჩანს, არ იყო მისაღები შემდეგი რეკომენდაციის ფორმულირება: პროგრამით „დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის“ აუცილებელია არჩევითი საგანი „ენისა და კულტურის ციფრული დოკუმენტირება“ ნაცვლად ქართველური ენების (მეგრულ/ლაზურ/სვანური) მონაცემებისა, აიგოს მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის ნიმუშებზე, რადგან ზეპირი უდამწერლობო ქართველური ენების (მეგრულის, ლაზურის, სვანურის) სწავლება ამ პროგრამით არ არის განსაზღვრული. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ რომ არ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია იქიდან ჩანს, რომ სასწავლო კურსის („ენისა და კულტურის ციფრული დოკუმენტირება“) მიზნებში კვლავ მითითებულია, რომ „კურსის მსმენელები უნდა ჩამოყალიბდნენ სხვადასხვა ენების, მათ შორის სამხრეთ კავკასიის (ქართველური) ენების ახალი ტექნოლოგიებით დოკუმენტირებისა და კვლევის პროფესიონალებად“.

○ გათვალისწინებულია ექსპერტთა ის რეკომენდაცია, რომლის თანახმად, ლიტერატურით უნდა შევსებულიყო განსაკუთრებით ის კურსები, რომელთაც მხოლოდ ძირითადი ლიტერატურის სია ახლდა. ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად, სასწავლო კურს „კომუნიკაციური ლინგვისტიკის“ დამატებით ლიტერატურაში შეტანილია ნინო შარაშენიძის წიგნი „ქართული ენის კომუნიკაციური გრამატიკა“ (2007).

○ ექსპერტები მიუთითებდნენ, რომ სილაბუსთა უმეტესობას მიწერილი ჰქონდა მხოლოდ საგნის კურატორის ვინაობა და არა ის, ვინც რეალურად ადგენს და კითხულობს კურსს. ასეთ შემთხვევაში რთული იყო იმის გარკვევა, კონკრეტულად ვინ კითხულობდა ამა თუ იმ საგანს, რაც ართულებდა საგნის წამკითხველის კომპეტენციის შესაბამისობის დადგენას წასაკითხ კურსთან. აღნიშნული საკითხის შესახებ შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ კურატორი „მუშაობდა სილაბუსის ავტორთან ერთად და პასუხისმგებელი იყო, რომ სილაბუსის ფორმატი ზუსტად ყოფილიყო შესაბამისობაში უნივერსიტეტის შინაგანაწესით მიღებულ ფორმატთან, შეფასების სისტემა

იყო თუ არა ადეკვატური და შინაარსობრივად არ ყოფილიყო ე. წ. „გადაფარვა“, თუმცა, მაინც გაითვალისწინა დაწესებულებამ ექსპერტების მოსაზრება და ყველა სილაბუსში მივუთითეთ მხოლოდ ავტორი“. მიუხედავად აღნიშნული ჩანაწერისა, ჩვენი საექსპერტო ჯგუფისათვის წარმოდგენილ სილაბუსებში მითითებულია მხოლოდ საგნების კურატორები. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენი საექსპერტო ჯგუფის აზრით, თუ დაწესებულებას აქვს რაიმე სახის რეგულაცია, სადაც განსაზღვრულია საგნების სილაბუსების ავტორებისა და კურატორების უფლება-მოვალეობები, უნდა იყოს წარმოდგენილი დებულების ან შიდა რეგულაციის სახით პროგრამის აკრედიტაციისათვის საჭირო სხვა დოკუმენტებთან ერთად, ხოლო სილაბუსებში სავალდებულოდ უნდა იყოს მითითებული საგნის ავტორი. კურატორის მითითება სილაბუსში თუ დაწესებულებისათვის სავალდებულო რეგულაციაა, შესაძლებელია, მითითებული იყოს კურატორიც, ავტორის შემდეგ.

- სამაგისტრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსი არის 6 კრედიტიანი. ექსპერტებმა თავის დროზე მიიჩნიეს, რომ იგი „ხელოვნურ ელფერს იძენს და კარგავს თავის უშუალო დანიშნულებას“. ამასთან დაკავშირებით უნაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს საკუთარი პოზიცია და საბჭოს სხდომაზე არ გაიზიარეს ექსპერტების პოზიცია.

- ექსპერტთა რჩევა, რომ სასურველი იქნებოდა, თუ ინფორმაცია საკონსულტაციო საათების შესახებ შეტანილი იქნებოდა სილაბუსში, არ არის გათვალისწინებული.

- ასევე ექსპერტთა რჩევა, საველე პირობებზე ორიენტირებული კომპონენტი (პრაქტიკის სტაჟირების სახით) ცალკე გამოყოფილიყო 120 კრედიტიდან, არ არის გათვალისწინებული.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

○

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა
- აღნიშნული პროგრამის სილაბუსები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი და მიღწევადი, ამასთან, არის რეალისტური და, უმეტეს შემთხვევაში, თანხვედრაშია პროფესიულ მოთხოვნებთან.
- 2017 წლის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული ქართული ფილოლოგიის პროგრამაში. ასევე, გარკვეული რეკომენდაციები შეიმუშავა 2019 წლის ექსპერტთა ჯგუფმაც. დეტალურად იხ. 2. 1; 2. 2; 2. 3.
-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა
- აღნიშნული პროგრამის სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის წინაპირობას წარმოადგენს ერთიანი სამაგისტრო გამოცდები, ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისი რეგულაცია.
- ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის წინაპირობაა გამოცდა ინგლისურ ენაში B/2, (წერითი) და გამოცდა სპეციალობაში (ზეპირი).
- პროგრამის წინაპირობებში, ჩვენთვის ხელმისაწვდომ დოკუმენტებში არ არის აღნიშნული პროგრამის დამატებითი წინაპირობების შესახებ. კერძოდ, აქვს თუ არა პროგრამას წინაპირობა წინა საგანმანათლებლო საფეხურის კვალიფიკაციის მიხედვით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროგრამაში არსებული საგნები, როგორც ძირითადი, ისე არჩევითი, არის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი და მოიაზრებს წინარე ცოდნას ბაკალავრიატის საფეხურზე ამავე ან მომიჯნავე (ჰუმანიტარული, ქართველოლოგიური პროფილის) დარგებში. სასურველია, თუ განსაზღვრული არ არის, წინასწარ განისაზღვროს, რომელი დარგის სპეციალისტს შეეძლება ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა
- აღნიშნული პროგრამის სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, წინასწარ განისაზღვროს, რომელი დარგის სპეციალისტს შეეძლება ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

○ ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა შედგება ფილოლოგიის დარგის ძირითადი და არჩევითი საგნებისაგან. პროგრამის შინაარსი უმეტესწილად შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს და ძირითად შემთხვევაში შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. სწავლების კომპონენტები თანმიმდევრულია, ლოგიკურია საგნებზე დაშვების წინაპირობები. ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში ძირითადად გათვალისწინებულია ახალი კვლევის შედეგებს სასწავლო მასალებში. არსებობს გარკვეული რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესების თვალსაზრისით. კერძოდ, შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2017 წელს. აკრედიტაციის ექსპერტებს ჰქონდათ რეკომენდაციები, რის შედეგადაც აკრედიტაციის საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა აღნიშნული პროგრამისათვის მონიტორინგის დაწესება (31. 08.

2017, ოქმი #14). ჩვენი საექსპერტო ჯგუფი გაეცნო ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამას, რომელიც შპს საქართველოს უნივერსიტეტმა მონიტორინგის მიზნით გამოგზავნა. ასევე, 2017 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნასა და საბჭოს ოქმს. ჩვენი საექსპერტო ჯგუფისათვის ხელმიუწვდომელი იყო წინა პროგრამა, ასევე, შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზის დოკუმენტი, პროგრამაში შესული ცვლილებების აღწერა. ○ 2017 წლის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, მათ შინაარსს, ასევე, სტრუქტურის ნაწილს, დეტალურად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ 2017 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნისა და აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით იხ. 2. 3.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა შედგება ფილოლოგიის დარგის ძირითადი და არჩევითი საგნებისაგან. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2017 წელს. აკრედიტაციის ექსპერტებს ჰქონდათ რეკომენდაციები, რის შედეგადაც აკრედიტაციის საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა აღნიშნული პროგრამისათვის მონიტორინგის დაწესება (31. 08. 2017, ოქმი #14). ○ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაციების მხოლოდ ნაწილი. კერძოდ: ○ რეკომენდაციებში აღნიშნული იყო: „საგნების ნუსხაში ენისა და ლიტერატურის პროფილის მიხედვით განისაზღვრა შემდეგი ცვლილებები“. აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განახორციელა შემდეგი ცვლილებები: ○ ძირითადი საგნების ნუსხაში შეტანილი სასწავლო კურსი „ქართული ზმნა“ ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე გადამუშავდა და ეწოდა „ქართული წინადადების მორფო-სინტაქსური სტრუქტურა“. იგი წარმოადგენს სამაგისტრო

დონისთვის რელევანტურ საგანს და მასში ზმნის გარდა ასახულია ქართული ენის გრამატიკის სხვა ნაწილებიც.

- მეორე რეკომენდაცია ეხებოდა რამდენიმე საგნის: „ლინგვისტიკის თანამედროვე თეორიები და ძირითადი ტენდენციები“, „კულტუროლოგიური ლინგვისტიკა“, „ენობრივი პოლიტიკის საკითხები“ არჩევით საგნებში გადატანას, ხოლო არჩევითიდან სავალდებულო საგნების ნუსხაში საგნის: „ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ძირითადი პრობლემები“, გადატანას.

- აღნიშნული რეკომენდაციები არ იქნა გათვალისწინებული. აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე (31. 08. 2017, ოქმი #14) ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ „დაწესებულება ვერ გაიზიარებდა ექსპერტის რეკომენდაციას, რომ „ქართული ენისა და ლიტერატურის კუთხით შესაბამისი კვალიფიკაციის მიღებისათვის“ პროგრამის უმნიშვნელოვანესი საგნები: „ლინგვისტიკის თანამედროვე თეორიები და ძირითადი ტენდენციები“, „კულტუროლოგიური ლინგვისტიკა“ და „ენობრივი პოლიტიკის საკითხები“ უნდა გადატანილიყო არჩევით საგნებად... პროგრამაში სწორედ ზემოხსენებული საგნების არსებობა უზრუნველყოფს იმ კომპეტენციათა გამომუშავებას, რომლებიც ფილოლოგს უსათუოდ უნდა გააჩნდეს კულტურათა დიალოგის თვალსაზრისით“.

- უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ნაწილობრივ გაითვალისწინა მე-3 პუნქტის რეკომენდაცია, რომ ქართული ლიტერატურის კორპუსის სწავლების სრულყოფის თვალსაზრისით დამატებოდა ა) უახლესი (XX-XXI საუკუნეების მიჯნის) ლიტერატურა; ბ) ფოლკლორი; გ) რომელიმე სალიტერატურო კურსი კლასიკური (ბერძნულ-ბიზანტიური) მიმართულებიდან.

- ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში შეიტანა სასწავლო კურსი „ქართული მითოლოგია და საისტორიო ზეპირსიტყვიერება“. წარმოდგენილი სილაბუსის ძირითად ლიტერატურაში არ გვხვდება ამ საგნისთვის ისეთი უაღრესად მნიშვნელოვანი გამოცემა, როგორიც არის „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება“, ტ. I, ტ. II, ტ. III (ტექსტების მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქსენია სიხარულიძის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1961; 1964; 1967). ასევე ექსპერტებს მიგვაჩნია, რომ ამ სასწავლო კურსისთვის მეთოდოლოგიურ და სასწავლო საშუალებად

გამოყენებული უნდა იყოს თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მითის საყოველთაოდ აღიარებული მკვლევრის მირჩა ელიადეს წიგნი „მარადიული დაბრუნების მითი“ (არქექტიპები და განმეორებადობა, გამომცემლობა „ალეფი“, თბილისი, 2017), რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად გაშუქებულია მითისა და ისტორიის ურთიერთმიმართების საკითხი (იხ. გვ. 58-75).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში შეტანილია საგანი „ქართული მითოლოგია და ფოლკლორი“. ჩვენს საექსპერტო ჯგუფს მიაჩნია, რომ აუცილებელია საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსის „ქართული მითოლოგია და ფოლკლორისა“ და სამაგისტრო პროგრამაში შეტანილი კურსის „ქართული მითოლოგია და საისტორიო ზეპირსიტყვიერების“ სახელწოდებების დიფერენცირება, რათა არ მოხდეს საგნის მიზნების, ამოცანებისა და სასწავლო საკითხების გადაფარვა და დუბლირება. აქედან გამომდინარე, საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტებმა შეიძლება შეისწავლონ „ქართული ფოლკლორი“, ხოლო მაგისტრატურის საფეხურზე „ქართული მითოლოგია და საისტორიო ზეპირსიტყვიერება“.

- საგნების (XX-XXI საუკუნეების მიჯნის ლიტერატურა; რომელიმე სალიტერატურო კურსი კლასიკური - ბერძნულ-ბიზანტიური -მიმართულებიდან) სამაგისტრო პროგრამაში შეტანასთან დაკავშირებით დაწესებულებას აქვს საკუთარი არგუმენტები. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული. ჩვენი საექსპერტო ჯგუფის აზრით, აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება მიზანშეწონილი იქნებოდა ფილოლოგიის დარგის კომპეტენციების შესაძენად.

- უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ არ გაიზიარა ექსპერტთა რეკომენდაცია და არ ამოიღო არჩევითი საგნებიდან და, საერთოდ, პროგრამიდან „მეგრულ-ლაზური გრამატიკის საფუძვლები“.

- სასწავლო კურსების დაგეგმვასთან, მათ შინაარსსა და სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით გათვალისწინებულია ექსპერტთა შემდეგი რეკომენდაციები:

დაზუსტდა სასწავლო კურსის სახელწოდება „დიალექტოლოგია“ და მას, საგნის შინაარსიდან გამომდინარე, ეწოდა „ქართული დიალექტოლოგია“. ასევე კურსის ძირითადი ლიტერატურიდან ამოღებულია ისეთი გამოცემა, როგორც არის

„სვანური ტექსტები და ლექსიკა, ბალსზემოური კილო“ (შემდგ. ჩართოლანი ნ. 2003 წ.), რომელიც, ექსპერტთა აზრით, არ შეესაბამებოდა ამ საგნის შინაარსს.

